ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი —

სპარტაკიადებისთვის მზადება

• •

„მცირე საკავშირო ჩემპიონატი"

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

V სპარტაკიადა
1971

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადამდე ჩვენი რესპუბლიკის „კლასიკოსებს" არც ერთ დიდ შეჯიბრებაში არ მოუწევთ გამოსვლა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოს სპარტაკიადის ფინალს. ეს კი არც ისეთი სახარბიელო პერსპექტივაა. ყველაზე მეტად სწორედ ახლაა საჭირო ტურნირებში ხშირი მონაწილეობა და ძალთა შემოწმება. სხვათა შორის, ანალოგიურ მდგომარეობაში არიან სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებიც და ამიტომ ხელიდან არ უშვებენ არც ერთ ხელსაყრელ მომენტს.

ცნობამ, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში თბილისის ღია ჩემპიონატი ტარდება, დიდი გამოხმაურება ჰპოვა სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხეში. პირველად ამ ღონისძიებას უკრაინელი „კლასიკოსები" გამოეხმაურნენ, რომლებთანაც ქართველ მოჭიდავეებს დიდი მეგობრობა აკავშირებთ. უკრაინელებმა, უფრო სწორად, ამ რესპუბლიკის ნაკრების წევრებმა ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

მერე დეპეშები მოვიდა ბელორუსიიდან, ლენინგრადიდან, ლატვიიდან, მოლდავეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან... მოკლე ხანში დეპეშებს მოელიან დონის როსტოვიდან და ომსკიდან.

ისე რომ, თბილისის ღია პირად-გუნდური ჩემპიონატი, რომელიც სპორტის სასახლეში 19-21 თებერვალს ჩატარდება, ფაქტიურად „მცირე საკავშირო ჩემპიონატი" იქნება, ვინაიდან ამ შეჯიბრებაში მოსალოდნელია სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს უძლიერეს ათლეტთა მონაწილეობა.

ცხადია, საქართველოს ნაკრები ტურნირისთვის გულმოდგინედ ემზადება. გულშემატკივრები ხალიჩაზე ნახავენ ჯ. გიგოლაშვილს, ა. ხარაბაძეს, გ. გუდაძეს, ჯ. მეგრელიშვილს, ო. ტატიშვილს, ო. ეგაძეს, ბ. ლეკვეიშვილს, გ. ჰელიძეს, თ. მაჭავარიანს, ვ. ხანდოლიშვილს, კ. ლოლუნიშვილს, ე. გოგლიჩიძეს, მ. ჩიბურდანიძეს, თ. ქურციკიძეს, შ. მორჩილაძეს, ე. ლოდუშაურს. ავადმყოფობის გამო ვერ გამოვა მხოლოდ ო. ბლიაძე, რ. რურუა კი, რომელიც ამჟამად სადიპლომო თემაზე მუშაობს, შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილის მოვალეობას შეასრულებს. მთავარი მსაჯია სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კარტოზია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 29
(4279)

1971 წ.
11 თებერვალი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი

• •

სარეკორდო ანგარიშით

მოსკოვი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების კალენდარული მატჩის შემდეგ ცსკა სოფიიდან შინ დაბრუნდა და მორიგი შეხვედრა კიეველ თანაკლუბელებთან ჩაატარა. სსრ კავშირის ჩემპიონი აშკარად ფორმაში იყო და მეტოქე დიდი უპირატესობით დაამარცხა — 95:65.

კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი. საინტერესო იყო იგი არა ბრძოლის სიმძაფრით (არმიელებმა 50 ქულით გაიმარჯვეს), არამედ იმით, რომ ეს შეხვედრა სარეკორდო შედეგით აღინიშნა: სსრ კავშირის ჩემპიონის დუბლიორებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 121:71.

ტარტუ. ადგილობრივი „კალევის" და კიევის „სტროიტელის" დუბლიორთა ბრძოლა უკრაინელმა კალათბურთელებმა მოიგეს — 70:64.

გათამაშების ცხრილები

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 10 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	14	13	1	967—830	13
ცსკა	14	11	3	1111—969	11
„ჟალგირისი" (კაუნასი)	15	11	4	1220—1146	11
„დინამო" (მოსკოვი)	15	8	7	1169—1106	8
„კალევი" (ტარტუ)	16	8	8	1237—1201	8
„სტროიტელი" (კიევი)	15	8	7	1071—1028	8
„დინამო" (თბილისი)	14	8	6	1064—1092	8
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	14	6	8	994—1054	6
ასკ (კიევი)	16	5	11	1079—1175	5
ასკ (რიგა)	16	4	12	1113—1200	4
ვეფ (რიგა)	16	4	12	1171—1309	4
რტი (მინსკი)	15	4	11	993—1079	4

დუბლშემადგენლობანი

მდგომარეობა 10 თებერვლისთვის

„ჟალგირისი" (კაუნასი)	15	10	5	1217—1135	10
„დინამო" (თბილისი)	14	10	4	1070—1012	10
„სტროიტელი" (კიევი)	15	9	6	1094—1072	9
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	14	8	6	1042—1018	8
„კალევი" (ტარტუ)	16	8	8	1324—1281	8
„დინამო" (მოსკოვი)	14	8	6	1046—1044	8
ცსკა	14	8	6	1185—1084	8
ასკ (რიგა)	16	8	8	1161—1153	8
ასკ (კიევი)	16	6	10	1142—1258	6
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	14	5	9	1042—1146	5
რტი (მინსკი)	15	5	10	1087—1121	5
ვეფ (რიგა)	15	4	11	1126—1212	4



სოხუმში დამთავრდა უძლიერეს აფროსანთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. „ფინის" კლასში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა რ. ბერდამმა, „მფრინავი ჰოლანდიელით" რბოლებში ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა ვ. ლეონტიევმა (ორივე — სამხედრო-საზღვაო ფლოტი). „ურჩხულის" კლასის ნავებით პირველი იყო ა. დეგტიარი (ნიკოლაევის „ავანგარდი"). სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ვ. მანკინმა („ტემპესტი") და ტ. პინეგინმა („სოლინგი") გაიმარჯვეს თავიანთ კლასებში.

• • •

სურათზე: საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი აფროსანი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ი. ფერაძე „ურჩხულის" კლასის ნავით ასპარეზობისას (წინა პლანზე).

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქდესი).

სპორტული ქალაქი იასამნების ხეივანში

იზმაილოვოში მდებარე „ლოკომოტივის" სტადიონს ყველა მოსკოველი კარგად იცნობს. საკმარისია ავტობუსით კიდევ ორი გაჩერება გაიარო, რომ იასამნების ხეივანში მოხვდე. გაზაფხულზე აქ მართლაც უამრავი იასამანი იცის, მაგრამ ახლა პირველყოვლისა ახალმშენებლობები იქცევს ყურადღებას. გამოირჩევა ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალი შენობა, რომელიც ნახევარ კილომეტრზეა გადაჭიმული.

აგერ უკვე 50 წელია ფიზკულტურის ინსტიტუტი ამზადებს სპეციალისტებს, რომელთაც ფიზიკური კულტურის განვითარებისთვის ზრუნვა ევალებათ. ახლა ინსტიტუტს სახელმწიფო ახალ შენობას აძლევს საჩუქრად.

... ექვსსართულიან მთავარ კორპუსს სპორტული დარბაზების კორპუსი მოსდევს. 8 თებერვალს აქ შედგა სპორტული თამაშების დარბაზების საზეიმო გახსნა. მშენებლებმა სტუდენტებს უზარმაზარი გასაღები გადასცეს. თავის მხრივ ძვირფას სტუმრებს მადლობა გადაუხადეს სპორტული თამაშების კათედრის ხელმძღვანელებმა, ინსტიტუტის ახალმა რექტორმა ლ. ხომენკოვმა.

უკვე გახსნილია ახალი კორპუსის (საერთო ფართობი — 9000 კვადრატულ მეტრზე მეტი) კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ფარიკაობის, ჭიდაობის, კრივის, ძალოსნობის დარბაზები. ასეთი სპორტული კომპლექსი მსოფლიოში არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს.

დარბაზებში შესანიშნავი ინვენტარი დგას. ვრცელ გასახდელებში მოწყობილია პატარა აუზები და „ორთქლის აბანოები".

ფიზკულტურის ინსტიტუტში ამჟამად 8 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს. აქ მუშაობს 20 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, 135 მეცნიერებათა კანდიდატი, 116 დამსახურებული მწვრთნელი და სპორტის დამსახურებული ოსტატი.

... მშენებლობა გრძელდება. წლეულს დამთავრდება კიდევ ერთი დიდი კორპუსი, სადაც მოთავსდება 5 აუდიტორია და სააქტო დარბაზი, მძლეოსნური მანეჟი, რომელშიც 200-მეტრიანი წრიული და 130-მეტრიანი პირდაპირი ბილიკები მოეწყობა, სამი ტირი, საზაფხულო მოედნები. შემდეგ მწყობრში ჩადგება ახალი საერთო საცხოვრებელი, ფეხბურთისა და ჰოკეის მანეჟი, გარაჟი.

ახალი სპორტული ქალაქის მშენებლობა საბოლოოდ 1975 წელს დამთავრდება. რასაკვირველია, იმავე წლისთვის გაიზრდება ამ სასწავლებლის სტუდენტთა რიცხვიც.

ა. ერმაკოვი,
(საქდესის კორ.).

მოსკოვი.

მოთხოვნები და ნორმები ახალი საკა
„იყავ მზად შრომისა და სსრ კავშირ

დებულება

ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსისა „იყავ მზად შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისთვის"

I. კომპლექსის ამოცანები, აგებულება და შინაარსი

1. საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „იყავ მზად შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისთვის" — იმშთ ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის ნორმატულ და საპროგრამო მეთოდურ საფუძველს წარმოადგენს.

2. კომპლექსის ამოცანები:

— სტიმული მისცეს მოსახლეობის ფართო მასებს ფიზიკური განვითარებისა და ფიზიკური მომზადების მაღალი დონის მიღწევისთვის. ამით ხელი შეუწყოს მათ მუდმივ შრომითს აქტიურობას და სოციალისტური სამშობლოს დაცვისთვის მზადყოფნას;

— ხელი შეუწყოს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებას და ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდასთან ჰარმონიულ ერთიანობაში;

— ხელი შეუწყოს ხალხის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის დანერგვას, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში რეგულარულ მეცადინეობაში ახალგაზრდობისა და მოზრდილი მოსახლეობის ჩაბმას, საბჭოთა სპორტსმენთა მიღწევების დონის ამაღლებას;

— განსაზღვროს მოსახლეობის ყოველმხრივი მომზადების მიზნით სასწავლო მეცადინეობისა და მასობრივი სპორტული შეჯიბრებების პროგრამების შინაარსი.

3. კომპლექსი მოიცავს 10-დან 60 წლამდე ასაკს და შედგება ხუთი საფეხურისგან:

პირველი საფეხური — „პიონერული" გათვალისწინებულია 10-11, 12-13 წლის ბიჭებისა და გოგონებისთვის, რომლებიც შესაბამისად IV და VI კლასებს ამთავრებენ. ამ საფეხურის ამოცანაა ბავშვების ჯანმრთელობის განმტკიცება, ძირითადი ფიზიკური თვისებების განვითარება და აუცილებელი ცხოვრებისეული მოძრაობითი ჩვევებისა და უნარის ჩამოყალიბება.

მეორე საფეხური — „მოზარდთა". იგი განკუთვნილია 14-15 წლის მოზარდებისთვის, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის VIII კლასს ამთავრებენ. საფეხურის ამოცანაა მოზარდთა ჩაბმა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში რეგულარულ მეცადინეობაში, მათი ჯანმრთელობის განმტკიცება, ყოველმხრივი ფიზიკური განვითარება, ფიზიკური მომზადების დონის ამაღლება და გამოყენებითი სამოძრაო თვისებების გამომუშავება.

მესამე საფეხური — „იყავ მზად სამშობლოს დაცვისთვის"—იმსდ. იგი განკუთვნილია 16-18 წლის ჭაბუკებისა და ქალიშვილებისთვის, რომლებიც სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე, მუშაობენ წარმოებაში ან სოფლის მეურნეობაში. საფეხურის ამოცანაა ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, ჯანმრთელობის განმტკიცებას, შემდგომ ფიზიკურ განვითარებას და ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების დონის ამაღლებას, რაც აუცილებელია შრომითი მოღვაწეობისთვისა და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის მზადყოფნისთვის.

მეოთხე საფეხური — „უმაღლესი" — განკუთვნილია 19-39 წლის ვაჟებისთვის და 19-34 წლის ქალებისთვის.

საფეხურის ამოცანები — მაღალნაყოფიერი ფიზიკური და გონებრივი შრომის და სამშობლოს დაცვის წმიდათაწმიდა მოვალეობის შესრულებისთვის აუცილებელი ფიზიკური განვითარებისა და ფიზიკური მომზადების მაღალი დონის მიღწევა.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში მოცემული ასაკის პირები აბარებენ სამხედრო-სპორტული კომპლექსის ნორმატივებს.

მეხუთე საფეხური — „ძალა და ჯანმრთელობა". იგი განკუთვნილია საშუალო და უფროსი ასაკის პირებისთვის (ვაჟები — 40-60 წლის და ზევით, ქალები — 35-55 წლის და ზევით). საფეხურის ამოცანებია შესაბამისად მაღალ დონეზე ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური მომზადების, შრომისუნარიანობისა და აქტიური შემოქმედებითი დღეგრძელობის უნარის განვითარება და შენარჩუნება.

4. I — „პიონერული" და V — „ძალა და ჯანმრთელობა" საფეხურებს სირთულის ორი დონის ნორმატივები აქვთ, ხოლო სხვა საფეხურებს — სამი დონისა.

II. კომპლექსის მოთხოვნათა და ნორმების შესრულებისთვის მომზადება

6. კომპლექსის მოთხოვნათა შესრულებისა და ჩაბარებისთვის მზადება შედის პროფტექნიკური სასწავლებლების, საშუალო, სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პროგრამაში. ნორმებისა და მოთხოვნებისთვის მზადება ხდება საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სპორტული კლუბების, ბავშვთა და ახალგაზრდული სპორტული სკოლების ფიზკულტურის კოლექტივებში. გარდა ამისა, კომპლექსით მზადება ხდება სპორტულ ნაგებობებთან შექმნილ სასწავლო ჯგუფებში, საცხოვრებელ მასივებში, დასასვენებელ სახლებში, სპორტულ და გამაჯანსაღებელ ბანაკებში, კულტურისა და დასვენების პარკებში, პიონერთა ბანაკებში, დოსააფის ორგანიზაციებში და ა. შ.

7. ყველა სასწავლებელში კომპლექსის შესაბამისი საფეხურის ნორმატივებისა და მოთხოვნების შესრულება გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების შეფასებისას (ნიშნების — დამაკმაყოფილებელი, კარგი და ფრიადი — დონეზე).

III. კომპლექსზე მუშაობის ხელმძღვანელობა

8. რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში კომპლექსზე მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ შესაბამისი ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები დოსააფის კომიტეტების, სამოქალაქო თავდაცვის შტაბების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების აქტიური დახმარებით.

იმ ორგანიზაციებში, რომლებიც მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის განხრით მუშაობენ, კომპლექსზე ხელმძღვანელობას უზრუნველყოფენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები, სამინისტროებისა და უწყებების შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოები.

9. კომპლექსზე მუშაობის მთელ ორგანიზაციას უზრუნველყოფენ:

ა) სასწავლო დაწესებულებებში — ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები და ხელმძღვანელები, ფიზიკური აღზრდის კათედრები, სამხედრო კათედრები, სამოქალაქო თავდაცვის კურსები, ფიზიკური კულტურის კოლექტივების საბჭოები, სპორტკლუბების გამგეობები, სასწავლებლების დირექტორების (რექტორების) საერთო ხელმძღვანელობითა და კონტროლით, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით;

ბ) საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში — ფიზიკური კულტურის კოლექტივების საბჭოები, სპორტკლუბების გამგეობები, კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, საფაბრიკო-საქარხნო და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტების, სამოქალაქო თავდაცვის შტაბების აქტიური დახმარებით, საწარმოთა დირექციების, კოლმეურნეობათა და სამრეწველო არტელების გამგეობების დირექციების კონტროლით;

გ) დოსააფის ორგანიზაციებში — საზოგადოების კომიტეტები;

დ) სპორტულ ნაგებობებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, საბინაო-საექსპლოატაციო კონტორებში — საზოგადოებრივი საბჭოები.

10. ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებთან, სპორტულ საზოგადოებათა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო და საქალაქო საბჭოებში, აგრეთვე, ფიზკულტურის კოლექტივებში საზოგადოებრივი აქტივისტებისგან იქმნება კომპლექსის კომისიები, რომელთაც ეკისრებათ საზოგადოებრივი კონტროლის ფუნქციები და ამ მუშაობის ხელმძღვანელობაში დახმარების გაწევა.

ფიზიკური კულტურის კოლექტივებში კომისიები ამუშავებენ კომპლექსის განახორციელებლად საჭირო მუშაობის გეგმებს, ფიზკულტურელებს წარადგენენ სამკერდე ნიშნებით დასაჯილდოებლად, ატარებენ გაწეული მუშაობის აღრიცხვას.

IV. კომპლექსის მოთხოვნებისა და ნორმების შესრულება

11. კომპლექსის მოთხოვნებისა და ნორმების შესასრულებლად დაიშვებიან პირები, რომლებიც წინასწარ გაივლიან ფიზიკურ მომზადებას, დაწყებით სამხედრო მომზადებას (იმსდ კომპლექსის მიხედვით), აგრეთვე, სამოქალაქო თავდაცვაში მომზადებას და აქვთ ექიმის შესაბამისი ნებართვა შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის.

12. კომპლექსის ნორმების შესრულება სპორტის სახეობებისა და სპეციალური განყოფილებების მიხედვით ითვლება იმ შეჯიბრებებში (გამოცდისა და მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში), რომლებსაც აწყობენ სასწავლებლები, ფიზიკური კულტურის კოლექტივები, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, კომკავშირის კომიტეტები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები, უწყებები და სხვა ორგანიზაციები (სპორტული ბაზები, კულტურისა და დასვენების პარკები, დასასვენებელი სახლები და ა. შ.).

ნორმების შესრულება დასაშვებია შეჯიბრებებში ფიზკულტურის საკონტროლო გაკვეთილებზე, სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში.

შეჯიბრებები ტარდება სპორტის ცალკეულ სახეობებში არსებული წესების თანახმად.

ნორმების შესრულება ცურვაში დროის გაუთვალისწინებლად, აგრეთვე, ყველა ნორმის შესრულება 40 წელზე უფროსი ასაკის კაცებისა და 35 წელზე უფროსი ასაკის ქალებისთვის შეიძლება შეჯიბრებებში გამოუსვლელადაც ჩაითვალოს. ამ შემთხვევებში ნორმების მიღების უფლება ეძლევათ კომპლექსის საზოგადოებრივ კომისიებს და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს.

13. კომპლექსის მოთხოვნათა შესრულება ჩაითვლება გამოცდის მოცემული სახეობების მიხედვით დადგენილი პირობების თანახმად.

14. პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მიერ ნორმებისა და თანრიგების შესრულების შედეგები შეაქვთ საკლასო (ჯგუფის) ჟურნალებში, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისთვის — მათს დღიურებში. ჟურნალებში შეაქვთ აგრეთვე ექიმის ნებართვა შეჯიბრებებში მონაწილეობის შესახებ და აღნიშვნები ფიზკულტურელებისთვის სამკერდე ნიშნების გაცემის თაობაზე.

ყველა სხვა შემთხვევაში ნორმებისა და მოთხოვნათა შესრულების აღრიცხვა ხდება სპეციალური უწყისებით, სადაც აღინუსხება მოთხოვნათა შესრულების თარიღი, ნაჩვენები შედეგები და შეფასებები ქულათა ცხრილის მიხედვით.

პირებს, რომლებიც კომპლექსის ნორმებსა და მოთხოვნებს ინდივიდუალური წესით შეასრულებენ, ეძლევათ ჩათვლის წიგნაკი. პირებს, რომლებიც ნორმებსა და მოთხოვნებს სრულად ვერ შეასრულებენ და მოცემული კოლექტივიდან მიდიან, ეძლევათ ცნობა მათს მიერ შესრულებულ ნორმებსა და მოთხოვნებზე.

ყველა მითითებულ საბუთში ნორმებისა და მოთხოვნების შესრულების ჩაწერის უფლება ეძლევათ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, ინსტრუქტორებს, მწვრთნელებს, კომპლექსის კომისიების თავმჯდომარეებს, შეჯიბრების მთავარ მსაჯებსა და მათს მოადგილეებს.

სპორტული თანრიგის ან სპეციალური მომზადების სახეობების ნორმებისა და მოთხოვნების შესრულება სააღრიცხვო საბუთში იწერება საკლასიფიკაციო ბილეთების, ცნობების ან შესაბამისი მოწმობების საფუძველზე.

15. II, III და IV საფეხურების ნორმების შესრულების შეფასება ხდება ქულებში სპეციალური ცხრილებით.

მოცემული საფეხურისთვის დადგენილი თუნდაც ერთი ნორმის შეუსრულებლობის შემთხვევაში ქულათა ცხრილის მიხედვით სამკერდე ნიშნები არ გაიცემა.

თუ ნორმების შესრულების დროს ნაჩვენებია 100 ქულაზე მაღალი შედეგი, ითვლება მხოლოდ 100 ქულა.

V. კომპლექსის ნიშნებით დაჯილდოება და დაჯილდოებულთა ვალდებულებანი

16. პირები, რომლებიც კომპლექსის სათანრიგო მოთხოვნებს სრულად შეასრულებენ, დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და კომიტეტის მიერ დამტკიცებული ნიშნებით. ნიშნებთან ერთად გაიცემა მოწმობა, რომლითაც ნორმებისა და მოთხოვნების შესრულება დასტურდება.

კომპლექსის ნორმებისა და მოთხოვნების შესრულება აღინიშნება შემდეგი ნიშნებით:

სამკლაურებით (მკლავზე დაკერებული პატარა ნაჭრებით) უშუალოდ თითოეული მოთხოვნისა და ნორმის შესრულების შემდეგ, სამკერდე „ბრინჯაოს" ნიშნით I „პიონერული" საფეხურის ყველა მოთხოვნისა და ნორმის შესრულებისთვის, „ბრინჯაოს", „ვერცხლის", „ვერცხლისა წარჩინებით" ნიშნებით—II „მოზარდთა" საფეხურის მოთხოვნათა და ნორმების შესრულებისთვის, „ვერცხლის", „ოქროს", „ოქროსი წარჩინებით" ნიშნები გაიცემა III („იყავ მზად სამშობლოს დაცვისთვის") და IV „უმაღლესი" საფეხურების ნორმებისა და მოთხოვნათა შესრულებისთვის.

„ბრინჯაოსი" და „ვერცხლის" პირველი ხარისხის ნიშნები ეძლევათ საფეხურის „ძალა და ჯანმრთელობა" ნორმებისა და მოთხოვნათა შესრულებისთვის 40-49 წლის კაცებს და 35-44 წლის ქალებს;

მეორე ხარისხის „ბრინჯაოსა" და „ვერცხლის" ნიშნებს საფეხურის — „ძალა და ჯანმრთელობა" — ნორმებისა და მოთხოვნათა შესრულებისთ-

ა. სავალდებულო მოთხოვნები

(ყველა საფეხურისთვის)

1. ჰქონდეს ცოდნა თემის — „ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში" — ირგვლივ.
2. იცოდეს და შეასრულოს პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესები.
3. იცოდეს მასობრივი დაზიანების იარაღისგან თავდაცვის წესები და ხერხები.
4. ყოველდღიურად შეასრულოს დილის ჰიგიენური ვარჯიში.

დამატებით საფეხურისთვის „ძალა
რად იმეცადინოს მისთვის ხელმისაწვდ
ბის ჯგუფში, ან დამოუკიდებლად, ან
6. კომპლექსის ნორმების ჩაბარებ
ცოტა, 2 კაცი მაინც.

I საფეხური — „პიონერული"

(10-13 წლის გოგონებისა და ბიჭებისთვის)

ბ. სავალდებულო ვარჯიშები და ნორმები

ვარჯიშის სახეობები	ბიჭები			
	10-11 წ.		12-13 წ.	
	შეფასება „კარგი"	ბრინჯაოს სამკერდე ნიშანი	შეფასება „კარგი"	ვერცხლის სამკერდე
1. პიონერული ოთხჭიდი*				
ა) რბენა 30 მ (წამი)	6,0	5,4	—	—
60 მ (წამი)	—	—	10,6	9,
ბ) სიგრძეზე ხტომა (მ, სმ)	3,00	3,30	3,25	3,6
გ) სიმაღლეზე ხტომა (მ, სმ)	90	100	100	11
დ) ბურთის ტყორცნა (მ)	28	34	33	4
2. ცურვა** დროის გაუთვალისწინებლად (მ)	25	50	50	10
3. თხილამურებით სიარული***				
1000 მ (წუთი, წამი)	8,00	7,30	—	—
2000 მ (წუთი, წამი)	—	—	14,00	13,0
უთოვლო რაიონებში 5 კმ-ზე ველოსიპედით სიარული	17.00	16.00	16.00	15.0
4. აზიდვა	3	5	5	
ან				
ჭოკზე ან ბაგირზე ცოცვა (მ, სმ)	1.75	2.50	2.50	3.0
			ფეხების დაუხმარებლად	

შენიშვნები: * შეიძლება ჩაითვალოს პიონერულ ოთხჭიდში მონაწილეობის შედეგების მიხედვით.

** შეიძლება ჩაითვალოს „მხიარული დელფინისა" და „ნეპტუნის" შედეგების მიხედვით.

*** შეიძლება ჩაითვალოს გაზეთ
ბის შედეგების მიხედვით.

გ. ნორმები და მოთხოვნები არჩევით

I. ფიზკულტურული უნარის ჯგუფი.

გამოიჩინოს უნარი ბრინჯაოს სამკერდე ნიშნის მისაღებად ნებისმიერ სამ სახეობაში — 10-11 წლის ასაკის ჯგუფში და ხუთ სახეობაში — 12-13 წლის ასაკის ჯგუფში. ფასდება შესრულების ტექნიკა.

1. ბუმზე (დვირი, წაქცეული ხე) გაიაროს 1,5 მ სიმაღლეზე და შუა ადგილზე გვერდი აუაროს პარტნიორს. 2. ტაიჭზე ან ხარიხაზე სიგანით (ფეხები ერთად) გადახტეს: 10-11 წლის ასაკის ჯგუფში — 110 სმ, 12-13 წლის ასაკის ჯგუფში (ბიჭები) — 125 სმ სიმაღლეზე. 3. შეასრულოს სამი ბრუნი წინ და ერთი უკან. 4. შპაგატი, 5. პარალელურ ორძელზე ბჯენის მდგომარეობიდან შეასრულოს აზიდვა ზნექით ჩაჯდომში, გაშლილი ფეხებით (ბიჭები). 6. ხიდური. 7. წინ დახრა გაჭიმული ფეხებით ხელისგულებით იატაკზე შეხებამდე, 8. გადაცოცება 15 მეტრზე.

9. ტრამპლინიდან ხტომა: 10-11 წლის ბიჭებისთვის — 70 სმ სიმაღლიდან, 12-13 წლის ბიჭებისთვის — 1 მ სიმაღლიდან. 10. მთიდან თხილამურებით დაშვება მარცხნიდან მარჯვნივ ბრუნებით. წყალში 1 მ სიმაღლის ტრამპლინიდან ხტომა „ჯარისკაცულად". 12. სასტარტო ნახტომი წყალში კოშკურიდან. 13. ცურვის ერთ-ერთი სპორტული ხერხით 25 მეტრის დაფარვა. 14. სიმაღლეზე

ხტომა გადაბიჯების მეთოდით. 15. ხ
დროს 60 სმ სიმაღლის სამი თარჯის მ
რით ნიჩბოსნობის ცოდნა. 18. ცხენით
ლო ცხენი). 19. ველოსიპედით სიარ
კალიბრიანი შაშხანით სროლა. 21.
სრიალი. 23. ადგილზე რუკით ორიენტ
ლობრივი საგნებით სინათლის მხარის
რი. 25. კოცონის გაჩაღება და კარვის
სიგნალიზაციის ცოდნა.

II. თამაშების ჯგუფი.

10-11 წლის ბიჭებისთვის ერთი, ხ
სებისა და თვით თამაშის ცოდნა ძი
გამოყენებით.

1. ფეხბურთი, მათ შორის, „ტყავ
ჭები). 2. ჰოკეი, მათ შორის, „ოქრო
ბი). 3. ფრენბურთი. 4. კალათბურთი
7. ბადმინტონი. 8. ჩოგანბურთი. 9.

შირო ფიზკულტურული კომპლექსისა
ს თავდაცვისთვის“

პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღებენ 50-59 წლის კაცები
45-54 წლის ქალები.
ესამე ხარისხის „ბრინჯაოსა“ და
რცხლის“ ნიშნები ამავე საფეხურის
მებისა და მოთხოვნათა შესრულე-
თვის ეძლევათ 60 წლისა და უფ-
ი ასაკის კაცებს, აგრეთვე, 55
სა და უფროსი ასაკის ქალებს.
7. ნიშნებით დაჯილდოება ხდება
იმო ვითარებაში მწყობრის წინ
ა. შ.
8. ნიშნებით დაჯილდოება ეწყობა:
) სკოლებში, პროფესიულ-ტექნი-
სასწავლებლებში, საშუალო სპე-
ლურ და უმაღლეს სასწავლებლებ-
— სასწავლებლის დირექტორის
ქტორის) ბრძანების საფუძველზე;
) ფიზიკური კულტურის კოლექტი-
ი, საწარმოების, დაწესებულებე-
საბჭოთა მეურნეობების (კოლმე-
ეობების) სპორტულ კლუბებში —
ექტივის საბჭოს ან სპორტკლუბის
ეობის დადგენილების საფუძველ-

) ყველა სხვა შემთხვევაში დაჯი-
ოება ხდება ფიზიკური კულტურისა
სპორტის შესაბამისი რაიონული ან
ლაქო კომიტეტების გადაწყვეტი-
ით წარდგენილი საბუთების საფუ-
ლზე.
9. კომპლექსის ნიშნებით დაჯი-
ოებულთ ევალებათ:
) დაიცვან კომუნიზმის მშენებლის
ალური კოდექსის ზნეობრივი პრინ-
ბი;
) სისტემატურად იმეცადინონ ფი-
ურ კულტურაში და აიმაღლონ
რტული მიღწევები (ან შეინარჩუ-
ისინი საშუალო და უფროს ასაკ-

) ფართოდ გამოიყენონ ფიზიკური
ტურის საშუალებები ყოფა-ცხოვ-
აში;
) იცოდნენ და დაიცვან პირადი
საზოგადოებრივი ჰიგიენის წესები;
) აქტიური მონაწილეობა მიიღონ
ულტურული ორგანიზაციების მუ-
აში, აქტიურად გაუწიონ პროპა-
და ფიზიკურ კულტურასა და
რტს.

ანმრთელობა“ — 5. სისტემატუ-
ძეობის სექციაში, ან ჯანმრთელო-
ხის დახმარებით.
ისმიერი საფეხური) ჩააბას, სულ

	გოგონები 10-11 წ.		გოგონები 12-13 წ.	
შეფასება „კარგი“	ბრინჯაოს სამკერდე ნიშანი	შეფასება „კარგი“	ვერცხლის სამკერდე ნიშანი	
6,2	5,6	—	—	
—	—	11,0	10,2	
2,50	2,90	2,85	3,25	
80	90	90	100	
17	22	20	26	
25	50	50	-100	
8,30	8,00	—	—	
—	—	16,30	15,30	
20.00	19.00	19.00	18.00	
—	—	—	—	
2.50	2.80	2.80	3.50	

ფეხების დახმარებით

სკაია პრავდას“ პრიზზე შეჯიბრე-

ტომა მაკრატელათი. 16. რბენის
ბა. 17. ხალხური ნავით ან ბაიდა-
ის ცოდნა (შეკაზმული და უბე-
0. პნევმატური იარაღით ან მცირე-
ობის ცოდნა. 22. ცოგურებით
უნარი, კომპასით, რუკით, ადგი-
ბა. 24. აზიმუტით სიარულის უნა-
26. მორზეს ანბანისა და ალმებით

3 წლის ბიჭებისთვის 2 თამაშის წე-
ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების

ლ“ თამაშებში მონაწილეობა (ბი-
ი“ თამაშებში მონაწილეობა (ბიჭე-
ბურთი. 6. მაგიდის ჩოგბურთი.
10. წყალბურთი (ბიჭები). 11.

სნაიპერი. 12. თამაში „ზარნიცა“. 13. სახალხო ეროვნული თამაში (განისაზღვრება რესპუბლიკაში).

III. შრომითი უნარის ჯგუფი.

1. დაამზადოს მოდელი (არჩევით): ავტომანქანისა, გემისა, თვითმფრინავისა.
2. ააწყოს რადიომიმღები ან სხვა აპარატები და მექანიზმები, მათ შორის, სასკოლო ხელსაწყოები.
3. სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში მონაწილეობა. ფრენბურთის მოედნის, კალათბურთის, ჩოგბურთის მოედნის, სარბენი ბილიკის, საციგურაოსა და ყინულის გორაკის მოწყობის უნარი (არჩევით).
4. უმარტივესი სპორტული ინვენტარის, მათი შესანახი თაროების დამზადების უნარი.
5. სპორტული ინვენტარის შეკეთება.
6. ფიზიკური კულტურის მასწავლებლის დავალებით სხვა სამუშაოების შესრულება.

II საფეხური — „მოზარდთა“

(14-15 წლის მოზარდებისთვის)

ბ. ვარჯიში და ნორმები (ფასდება ქულათა ცხრილით)

ვარჯიშის სახეები	მინიმალური შედეგები „დამაკმაყოფილებელი“ შეფასების მისაღებად		ნიშნისა და შეფასების მომცემი ჩასათვლელი ქულების მოგროვებისთვის საჭირო საშუალო შედეგები ყოველ სახეობაში			
	ბიჭები	გოგონები	ბიჭები		გოგონები	
			ბრინჯაოს სამკერდე ნიშანი და შეფასება „კარგი“ (25 ქულის დონეზე)	ვერცხლის სამკერდე ნიშანი და შეფასება „ფრიადი“ (50 ქულის დონეზე)	ბრინჯაოს სამკერდე ნიშანი და შეფასება „კარგი“ (25 ქულის დონეზე)	ვერცხლის სამკერდე ნიშანი და შეფასება „ფრიადი“ (50 ქულის დონეზე)
1. 60 მ რბენა (წამი)	10,5	11,3	9,5	8,5	10,4	9,8
2. კროსი 300 მ (წუთი, წამი)	—	1.06	—	—	1.00	0.55
500 მ (წუთი, წამი)	1.54	—	1.45	1.30	—	—
3. ხტომა სიმაღლეზე (მ, სმ)	1.05	90	1.15	1.30	1.00	1.10
ან სიგრძეზე	3.30	2.70	3.85	4.30	3.10	3.60
4. ბურთის ტყორცნა (ჰოკეისა, ჩოგბურთისა) (მ, სმ)	30.00	18.00	38.00	46.00	23.00	30.00
5. სათხილამურო რბოლა 2 კმ (წუთი, წამი)	—	20.00	—	—	17.30	16.10
3 კმ (წუთი, წამი)	18.30	—	17,30	16.30	—	—
უთოვლო რაიონებში:						
მარში-გარბენი 1 კმ (წუთი, წამი)	—	8.25	—	—	7.35	6.55
2 კმ (წუთი, წამი)	15.30	—	14.20	13.00	—	—
6. ცურვა 50 მ (წუთი, წამი)	დროის გაუთვალისწინებლად		1.00	0.50	1.05	0.53
ან 100 მ	დროის გაუთვალისწინებლად, ფასდება 30 ქულით					
7. ღერძზე კიდეში მკლავებზე მიზიდვა (ძალით ღუნკიდი) (რიცხვი)	3	—	6	9	—	—
ან ჭოკზე და ბაგირზე ცოცვა ფეხების დაუხმარებლად (მ, სმ)	2.50	—	3.00	5.00	—	—
ფეხების დახმარებით (მ, სმ)	—	—	—	—	3.00	4.25
ან ტანვარჯიშულ სკამზე წოლბჯენში მკლავების მოხრა და გამართვა (რიცხვი)	—	5	—	—	9	12
8. ტურისტული ლაშქრობა ტურისტული ჩვევების შემოწმებითა და 30 წუთს არწენადში მოძრაობით (კმ)	10	10	12	16	12	16
9. ერთი წლის მანძილზე სპორტულ თამაშებსა და სხვა სახეობებში, სამხედრო სპორტულ თამაშებში (მასობრივი დაზიანების იარაღებისგან თავდაცვის ელემენტების ჩათვლით), სამოქალაქო თავდაცვის ესტაფეტებში (სკოლაში, პიონერულ რაზმში, პიონერთა ბანაკში, საბინაო-საექსპლოატაციო კონტორაში და ა. შ.) მონაწილეობა (რიცხვი)	4	4	8	12	8	12
			ან 450 ქულა და ჰქონდეს მოზარდთა I სპორტული თანრიგი ერთ-ერთ სახეობაში			

გ. ქულათა ჩასათვლელი ჯამი
ცხრავე სახეობის ჯამში მოაგროვოს:

ბრინჯაოს სამკერდე ნიშანზე
ბიჭები და გოგონები — 230 ქულა.

ვერცხლის სამკერდე ნიშანზე
ბიჭები და გოგონები — 450 ქულა.

ვერცხლის სამკერდე ნიშანზე წარჩინებით
ბიჭები და გოგონები — 600 ქულა.

III საფეხური — „იყავ მზად სამშობლოს დაცვისთვის“

(16-18 წლის ჭაბუკებისა და ქალიშვილებისთვის)

ბ. ვარჯიშები და ნორმები (ფასდება ქულათა ცხრილის მიხედვით)

ვარჯიშის სახეები	მინიმალური შედეგები „დამაკმაყოფილებელი“ შეფასების მისაღებად		ნიშნისა და შეფასების მომცემი ჩასათვლელი ქულების მოგროვებისთვის საჭირო საშუალო შედეგები ყოველ სახეობაში			
	ჭაბუკები	ქალიშვილები	ჭაბუკები		ქალიშვილები	
			ვერცხლის სამკერდე ნიშანი და შეფასება „კარგი“ (30 ქულის დონეზე)	ოქროს სამკერდე ნიშანი და შეფასება „ფრიადი“ (50 ქულის დონეზე)	ვერცხლის სამკერდე ნიშანი და შეფასება „კარგი“ (30 ქულის დონეზე)	ოქროს სამკერდე ნიშანი და შეფასება „ფრიადი“ (50 ქულის დონეზე)
1. რბენა 100 მ (წამი)	15,4	17,5	14,5	13,7	16,5	15,7
2. კროსი 500 მ (წუთი, წამი)	—	2.10	—	—	2.00	1.45
800 მ (წუთი, წამი)	2.55	—	2.45	2.30	—	—
ან 1000 მ (წუთი, წამი)	4.00	—	3.35	3.20	—	—
ან 1500 მ (წუთი, წამი)	6.00	—	5.40	5.15	—	—
3. ხტომა სიგრძეზე (მ, სმ)	3.80	3.00	4.20	4.60	3.20	3.60
ან სიმაღლეზე (მ, სმ)	1.10	95	1.20	1.35	1.05	1.15
4. 500 გრ წონის ხელყუმბარის ტყორცნა (მ, სმ)	—	16.00	—	—	20.00	25.00
700 გრ (მ, სმ)	31.00	—	35.00	42.00	—	—
ან 4 კგ წონის ბირთვის კვრა (მ, სმ)	—	5,00	—	—	5,80	6,60
ან 5 კგ ბირთვისა (მ, სმ)	6.80	—	8.00	10.00	—	—
5. სათხილამურო რბოლა 3 კმ (წუთი, წამი)	—	23.30	—	—	21.00	17.30
5 კმ (წუთი, წამი)	30.30	—	27.30	24.30	—	—
ან 10 კმ (წუთი, წამი)	63.30	—	57.30	52.30	—	—
უთოვლო რაიონებში						
მარში-გარბენი 3 კმ (წუთი, წამი)	—	24.00	—	—	21.30	18.30
6 კმ (წუთი, წამი)	37.00	—	35.20	32.40	—	—
ან ველორბოლა:						
გზატკეცილზე 10 კმ (წუთი, წამი)	—	32.00	—	—	30.00	27.00
გზატკეცილზე 20 კმ (წუთი, წამი)	50.00	—	46.00	42.00	—	—
ან გრუნტიან გზაზე 20 კმ-ზე (წუთი, წამი)	52.00	—	48.00	44.00	—	—
6. ცურვა 100 მ (წუთი, წამი)	2.30	3.00	2.15	1.55	2.40	2.10
ან 300 მ	დროის აღურიცხავად, ფასდება 30 ქულით					
ან 100 მ ტანსაცმლით და ავტომატის მაკეტით	დროის აღურიცხავად, ფასდება 40 ქულით					
7. ღერძზე კიდეში მკლავებზე მიზიდვა (ძალით ღუნკიდი) (რიცხვი)	6	—	8	12	—	—
ტანვარჯიშულ სკამზე წოლბჯენში მკლავების მოხრა და გამართვა (რიცხვი)	—	6	—	—	10	14
8. მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა 25 მ (ქულები)	29	26	33	40	30	37
ან 50 მ (ქულები)	26	23	30	37	27	34
ან საბრძოლო იარაღით	სროლის კურსის დაწყებითი ჩასათვლელი ვარჯიშის ან დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამის შესრულება ფასდება 40 ქულით					

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო ავდარს ნუ დავაბრალებთ

ბაკურიანი, 9 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოთხილამურეთა ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი ადრე რესპუბლიკის ბევრმა ქალაქმა და რაიონმა გამოთქვა, მაგრამ სარბიელზე მხოლოდ თბილისის, ქუთაისის, სამხრეთ ოსეთის, ბორჯომის, მესტიის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, დუშეთის, ცაგერისა და ლენტეხის სპორტსმენები გამოვიდნენ. ამასთან, მესტიელებმა, რომლებიც თბილისისა და ბორჯომის რაიონის წარმომადგენლებთან ერთად პირველ ჯგუფში ასპარეზობენ, სრული კოლექტივი ვერ გამოიყვანეს, ვინაიდან უამინდობის გამო გუნდის ძირითადმა ბირთვმა მესტიიდან ვერ გამოაღწია. სტარტამდე მხოლოდ ერთი საათით ადრე ჩამოვიდნენ ამბროლაურელი მოთხილამურეებიც. მათს ბედზე ბაკურიანშიც ავდარი იდგა და მსაჯთა კოლეგიამ პირველი დღის სტარტები 6 საათით გადასწია, 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრება კი მეორე დღისთვის გადადო.

ქარბუქმა ასპარეზობის ბევრ მსურველს გაუტეხა გული. ისინი, ვინც წინადღით კენჭისყრის დროს პირად შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, ახლა რბოლაში საასპარეზოდ აღარ გამოცხადდნენ.

საქართველოს მორბენლების მაჩვენებლებზე აღარას ვამბობთ, მაგრამ შედეგები საერთოდაც დაბალი იყო. მხოლოდ პრიზიორებს ვერაფერს ვუსაყვედურებთ.

სტარტი მოეწყო დიდველზე, სადაც სულ ორიოდე დღის წინ საკავშირო თასზე შეჯიბრება ჩატარდა.

სამთომოთხილამურენი შედარებით უკეთეს პირობებში ასპარეზობდნენ: გიგანტური სლალომის 1550-მეტრიან ტრასაზე მხოლოდ ერთი მონაკვეთი არ იყო ტყით დაცული. ტურნირს ინტერესი შემატა იმან, რომ უკონკურსოდ გამოდიოდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის სამთომოთხილამურენი. ბევრმა კარგ შედეგებსაც მიაღწია. მაგალითად, ქალთა შეჯიბრების მონაწილემ, მოსკოველმა სპორტის ოსტატმა გ. სიდოროვამ 1.48,1 აჩვენა. დღის მეორე შედეგი ჰქონდა მის თანაგუნდელ სპორტის ოსტატს ტ. სულკოვას — 1.52,0. მასპინძელთა გუნდის ლიდერი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ნ. ფალიანი მეცხრე კართან დაეცა და ძვირფასი დრო დაკარგა, თუმცა რესპუბლიკის ჩემპიონობა მაინც მოიპოვა. იგი წლევანდელი წლის პირველი ჩემპიონია.

ვინაიდან ბაკურიანის სამთო ტრასები თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს (ახალი ტრასების მოწყობას კი საშველი არ დაადგა), სწრაფდაშვება ჩემპიონატის პროგრამიდან ამოიღეს, ვაჟთა გიგანტური სლალომი კი ორ ნაწილად ეწყობა. და აი, დღეს მოეწყო პირველი ნაწილი. იმავე 1550 მეტრზე შეჯიბრებაში 49 სპორტსმენი ჩაება, რომელთა შორის ბადალი არ ჰყავდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს, სპორტის ოსტატ ი. ნასყიდაშვილს. II ადგილზე გავიდა მესტიის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი, სპორტის ოსტატი ბ. კახიანი, რომელმაც შარშან ფეხი დაიშავა და ჯერ კიდევ ვერ ასპარეზობს გაბედულად, დღის მეორე შედეგი აღმოაჩნდა მოსკოველ სტუმარს, სპორტის ოსტატს გ. კუნიცინს — 1.27,5, მესამე — უკრაინელ ოსტატს ა. ლებედევს — 1.28,5.

სამთომოთხილამურე ვაჟთა შეჯიბრება უფრო საინტერესო იქნებოდა, სარბიელზე სპორტის ოსტატები გ. აბრამიშვილი, შ. კოზანაშვილი, გ. ჯიჭოევი და ა. სტეპანიანიც რომ გამოსულიყვნენ. მაგრამ ისინი სლავსკოეს გაემგზავრნენ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაში მონაწილეობის მისაღებად.

გუნდურ ჩათვლაში პირველი დღის შემდეგ ბორჯომის რაიონის ნაკრები დაწინაურდა.

ო. გელაშვილი.

• • •

პირველი დღის ტექნიკური შედეგები

ქალები. 5 კმ-ზე რბენა. ნ. ბალაშვილი (თბილისი) — 23.27,0, თ. პარასტაევა (სამხრეთ ოსეთი) — 26.12,0, გ. აკოფოვა (ბორჯომი) — 26.45,0. გიგანტური სლალომი: ნ. ფალიანი—2.00,2, თ. კოზანაშვილი — 2.00,7, ნ. ომიაძე (ორივე—ბორჯომი) — 2.05,0.

ვაჟები. 15 კმ-ზე რბენა. მ. კაზაკოვი — 57.51,0, ლ. სოლთიანი — 1:00.24, გ. მაკიევი (ყველა — თბილისი) — 1:01.19. გიგანტური სლალომი I. ი. ნასყიდაშვილი (თბილისი) —1 24,8, ბ. კახიანი (მესტია) — 1.29,8, რ. აკოფოვი (თბილისი) — 1.31,8.

• • •

სურათებზე: ნ. ბალაშვილი და იოსებ ნასყიდაშვილი შეჯიბრების დროს.

ავტორის ფოტო.

ბულგარეთს მიემგზავრებიან

ახლახან უმაღლესი სკოლებისა და განათლების პროფკავშირთა (თავმჯდომარე დ. იოსელიანი) თაოსნობით ბაკურიანში მოეწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთამსვლელობის სექციის სასწავლო შეკრება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამ სახეობის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, სპორტის ოსტატი ნ. ნადირაშვილი.

შეკრების მონაწილეებმა მოაწყვეს საწვრთნელი გასვლები როგორც თხილამურებით, ისე ქვეითად. იყვნენ ცხრაწყაროს უღელტეხილზე—მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზაში, შეხვედრა ჰქონდათ გამოჩენილ „მფრინავ მოთხილამურესთან" — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ქ. წაქაძესთან.

მთამსვლელთა სექციამ, რომელიც სულ სამიოდე წელია ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ცენტრალურ საბჭოსთან (თავმჯდომარე — აკადემიკოსი გ. ციციშვილი), უკვე საკმაოდ დიდი შრომა გასწია მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ ინსტიტუტებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც თავისი მუშაობით უშუალოდ დაკავშირებულია მაღალმთიან ზონაში კვლევა-ძიებასთან. სექციამ შარშან ჩაატარა საერთაშორისო ალპინიადა II-ა კატეგორიის სირთულის მწვერვალზე — მყინვარწვერზე. ამ ასვლის შედეგად ქართველ მთამსვლელთა რიგებს შეემატა 150 ნიშნოსანი. ქვემო სვანეთში, მთამსვლელთა ბანაკ „აილამაში" 20 თანრიგოსანი მომზადდა.

ბაკურიანის შეკრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი ამ დღეებში გაემგზავრება ბულგარეთს, სადაც მასპინძლებთან ერთად მოაწყობს ასვლებს პირენსა და რილის ქედებზე მდებარე სხვადასხვა სირთულის მწვერვალებზე.

ახლახან ჩატარდა სექციის ანგარიშგება-არჩევნები, სადაც სექციის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ოსტატი ნ. ნადირაშვილი, მოადგილედ — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თანრიგოსანი ნ. ნათაძე.

აკადემიის მთამსვლელთა სექციის გეგმებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ზაფხულის ღონისძიებებს. განზრახულია მასობრივი ასვლის მოწყობა კავკასიონის ქედის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე, მონაწილეობა რესპუბლიკის მთამსვლელთა პირველობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად. აგრეთვე, კლდეზე მცოცავთა საქალაქო შეჯიბრებაში, თანრიგოსანთა მომზადება, მონაწილეობა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის საერთაშორისო ფოტო-კინოკონკურსში და სხვ.

ვუსურვოთ ამ ახალგაზრდა სექციის წევრებს შემდგომი წარმატებები მეცნიერებასა და სპორტში.

დ. გოზალიშვილი,
საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის უფროსი.

„ბურევესტნიკის" სარბიელზე

...ჭადრაკში

ხარკოვში დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. შვეიცარიული სისტემით გამართულ ტურნირში სხვადასხვა ქალაქის 5 ოსტატი და 43 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა. ფინალის საგზურები მხოლოდ ხუთ საუკეთესოს ეძლეოდა.

I ადგილი დაიკავა ოდესელმა ოსტატობის კანდიდატმა ს. პალატნიკმა — 7 ქულა 9-დან. წარმატებით ითამაშა თბილისელმა ოსტატმა, უნივერსიტეტის სტუდენტმა, 19 წლის ს. ჩეჩელიანმა. უამინდობის გამო მას ხარკოვში ჩასვლა დააგვიანდა, რისთვისაც პირველ ტურში წაგება ჩაეთვალა. მიუხედავად ამისა, ჩეჩელიანმა მომდევნო 8 შეხვედრაში 6,5 ქულა მოაგროვა და ხუთეულში მოხვდა.

ხარკოვის ნახევარფინალში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, თბილისელი ოსტატობის კანდიდატები დ. გედევანიშვილი, ა. არჩვაძე და ნ. ჩახოიანი, მაგრამ ისინი ფინალში ვერ მოხვდნენ.

ფინალი გაიმართება ალმა-ათაში 10 მარტიდან. ამ ტურნირს სსრ კავშირის ჩემპიონატის მეოთხედფინალის მნიშვნელობა ექნება.

ა. ნიკოლაძე.

...რუსულ შაშში

გორში დასრულდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი, რომელშიც 22 ქალაქის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

I ადგილი დაიკავა გ. მარკაჩოვმა (კემეროვო) — 7,5 ქულა 10-დან. II ადგილი ხვდა კიეველ მოსწავლეს მ. რახუნოვს — 7. III-VI ადგილები გაიყვეს ვ. ბელიაევსკიმ, ი. კუხარჩუკმა (ორივე — მინსკი), ს. ივანოვმა და ა. პოტაპოვმა (ორივე — მოსკოვი) — 6,5-6,5.

ი. მოძღვრიშვილმა (ქუთაისი), ი. შიროკოვმა (გორკი) და პოტაპოვმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს, ხოლო გორელებმა ზ. ელბაქიძემ და თ. კლიმიაშვილმა — ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

ა. სმირნოვი (მოსკოვი),
ოსტატობის კანდიდატი.

გ. ბარამიძე— ჩემპიონი

სოხუმში დამთავრდა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. დიდი აღმავლობით ითამაშა სოხუმელმა ოსტატობის კანდიდატმა გ. ბარამიძემ, რომელმაც 12 შეხვედრა მოიგო და ერთი (ბ. შავერდიანთან) ყაიმით დაამთავრა. ბარამიძის შემოქმედებითმა სწრაფვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

II ადგილი ხვდა ჩემპიონატის ყველაზე უმცროს მონაწილეს, თბილისელ მოსწავლეს, ოსტატობის კანდიდატ ბ. შავერდიანს — 11,5 ქულა. აღსანიშნავია, რომ ჭაბუკ მოშაშეს, ისევე როგორც ბარამიძეს, არც ერთი პარტია არ წაუგია. III ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა ე. რომანოვმა (სოხუმი) — 10.

ჩემპიონატმა დიდი ინტერესი გამოიწვია სოხუმელ გულშემატკივრებში.

ახალი ამბები–71

● ნესელვანგი (გფრ), 8 თებერვალი. აქ დამთავრდა იუნიორ მოთხილამურეთა ევროპული ჩემპიონატი, რომელმაც საბჭოთა სპორტსმენებს ოქროს 2, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 2 მედალი მოუტანა. შეჯიბრების ბოლო დღეს უძლიერესთა სახელი მოიხვეჭეს ა. პიატიგინმა, ვ. როჩევმა და ვ. პროკოპიევმა, რომლებმაც ყველაზე სწრაფად დაფარეს 3×10 კილომეტრზე ესტაფეტა — 1:33.16,8. II ადგილზე გავიდნენ ნორვეგიელები (1.33.30,0), ხოლო III — ფინელები (1:35.01,3). ოქროს მედალი მოიხვეჭა „მფრინავმა მოთხილამურემ" ი. კალინინმაც, რომელმაც პირველი ნახტომით ადგილობრივი ტრამპლინის რეკორდი დაამყარა — 85 მ. იგი მეორედაც ყველაზე შორს — 83 მეტრზე გადახტა და 245 ქულით გამარჯვება გაინაღდა. 80 მეტრზე შორს მხოლოდ ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა ე. ზაიფერტმა (გდრ) მოახერხა გადახტომა. მას 224,5 ქულა დაუგროვდა. III ადგილი დაიკავა ზაიფერტის თანამემამულემ ი. დანერბერგმა — 214 ქულა. ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ბ. ეკშტაინი (გდრ) მხოლოდ IV ადგილზე აღმოჩნდა. V ადგილზეა ასპარეზობის მეორე საბჭოთა მონაწილე ა. სმირნოვი — 211,6 (ნახტომები — 78,5 და 78 მ). 3×5 კილომეტრზე ესტაფეტაში საბჭოთა გუნდმა (ლ. დულოვა, ლ. ვორონინა და რ. რეხემაა) ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა — 55.46,3. ოქრო ფინელებს ხვდათ — 55.19,9. II ადგილზე გავიდნენ გდრ-ის წარმომადგენლები — 55.30,2.

● უფა, 8 თებერვალი. ყინულზე მოტორბოლაში საკავშირო ჩემპიონატის გუშინ აქ გამართულ ნახევარფინალურ ასპარეზობაში ადგილობრივმა სპორტსმენებმა გ. კადიროვმა, ფ. შაინუროვმა და ი. დუდორინმა იოლად მოიპოვეს საგზურები „500-ანების" კლასის ფინალში. მათთან ერთად ლენინგრადს ნოვოსიბირსკელი ვ. ხაიკინიც გაემგზავრება. ნევისპირა ქალაქში ფინალური სტარტების პირველი ეტაპი გაიმართება.

● კუიბიშევი, 8 თებერვალი. „500-ანების" კლასში გუშინ აქ გამართული საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი ნოვოსიბირსკელების ვ. პაშნიკოვის, ა. ივჩენკოს, კუიბიშეველი გ. კოტოვისა და მოსკოველი ვ. ჩეკუშევის წარმატებით დამთავრდა: ყინულზე მოტორბოლის ეს ოსტატები ფინალში გავიდნენ.

● რიგა, 9 თებერვალი. ლატვიის დედაქალაქის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატში, რომელიც ადგილობრივ მანეჟში გაიმართა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ელენა რინგა 634 სმ სიგრძეზე გადახტა. ასე შორს ამ ზამთარს საბჭოთა კავშირში არც ერთი სპორტსმენი ქალი არ გადამხტარა.

● საპორო, 9 თებერვალი. „წინაოლიმპიური კვირეულის" შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ორი გამარჯვება იზეიმეს. ნ. ფიოდოროვამ, ა. ოლიუნინამ და გ. კულაკოვამ მოიგეს სათხილამურო ესტაფეტა 3×5 კილომეტრზე (49.11,5), ხოლო ციგურებით სწრაფრბენაში 500 მეტრზე გაიმარჯვა ა. ბუიანოვამ — 45,86. დღეს დაიწყო ორჭიდელთა შეჯიბრება. ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს იაპონელებმა ხ. ტიტადაკემ — 224,5 ქულა (ნახტომები — 81 და 78 მ) და ნ. სასაკიმ — 223 (82 და 78). III ადგილზეა ფ. კელერი (გფრ) — 218,5. პირველ ცდაზე იგი ყველაზე შორს გადახტა (83 მ), მაგრამ მეორე ცდა 8 მეტრით ნაკლები ჰქონდა. საბჭოთა სპორტსმენები ვ. რუსინოვი და ნ. ნოვოჟილოვი შესაბამისად VIII და XVII ადგილებზე არიან. პირველს 184,5 ქულა აქვს (74,5 და 72), მეორეს — 163,5 (75 და 75).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 68448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14 3 უე 02748